საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრო
MINISTRY OF ENVIRONMENT PROTECTION AND AGRICULTURE OF GEORGIA

სსიპ გარემოს ეროვნული სააგენტო
LEPL NATIONAL ENVIRONMENTAL AGENCY

0112, საქართველო, თბილისი, დ. აღმაშენებლის გამზ. 150
150 D. Agmashenebeli ave. 0112, Tbilisi, Georgia

TEL: +995 32 2439503 FAX: +995 32 2439502
E-mail: info@nea.gov.ge Web: www.nea.gov.ge

N 21/1494
05/05/2022

1494-21-2-202205051028

**შპს „ნიავს“**

**მის:** ქ. ზესტაფონი, სტაროსელსკის ქ. №217

სსიპ გარემოს ეროვნულმა სააგენტომ განიხილა თქვენი №7710 სკრინინგის განცხადება, რომელიც ეხება ზესტაფონის მუნიციპალიტეტში, სოფ. პირველ სვირში შპს „ნიავის“ სასარგებლო წიაღისეულის (ქვიშა-ხრეში) გადამამუშავებელი საწარმოს მოწყობასა და ექსპლუატაციას.

გაცნობებთ, რომ სკრინინგის განცხადებაში დაზუსტებას საჭიროებს და მოცემული უნდა იქნეს საქმიანობასთან დაკავშირებული შემდეგი საკითხები:

- დოკუმენტში წარმოდგენილია ურთიერთგამომრიცხავი ინფორმაცია, კერძოდ, „საწარმოს განთავსების ადგილის მდებარეობისა და ტერიტორიის დახასიათებაში“ მითითებულია, რომ ტერიტორიის სამხრეთ-აღმოსავლეთ ნაწილში განხორციელებულია ახალი წარმოებისათვის საჭირო მოწყობილობების მონტაჟი, ხოლო „მაღალი ძაბვის ელექტროგადამცემი ხაზის მიმართ საწარმოს განთავსების“ თავში აღნიშნულია, რომ დაკორექტირდა ტექნოლოგიური დანადგარების მოწყობის ადგილი და მათი განთავსება მოხდება ელექტროგადამცემი ხაზის დაცვის ზონის გათვალისწინებით. შესაბამისად, სკრინინგის განცხადებაში დაზუსტებას საჭიროებს სამსხვრევ-დამახარისხებელი მოწყობილობების განთავსების საკითხი, საწარმოში არსებული ფაქტობრივი მდგომარეობის გათვალისწინებით;
- დოკუმენტში ნათლად უნდა იქნეს აღწერილი საწარმოში ნედლეულის ტრანსპორტირებიდან საბოლოო პროდუქციის მიღებამდე ქვიშა-ხრეშის გადამუშავების სრული ციკლი;
- დაზუსტებას საჭიროებს ინფორმაცია საწარმოში შემოტანილი ნედლეულისა და მზა პროდუქციის განთავსების, ასევე ტრანსპორტირებისათვის გამოყენებული ავტოსატრანსპორტო საშუალებების ძარის გადახურვის შესახებ;
- სკრინინგის განცხადებაში მითითებულია რომ დაგეგმილი საქმიანობის ფარგლებში, ქარიანი და ცხელი ამინდის შემთხვევაში საპროექტო ტერიტორიის დასანამად გათვალისწინებულია ტექნიკური დანიშნულებით წყალაღება (54 $მ^3$/წელ). დოკუმენტში მოცემული არ არის ინფორმაცია ტექნიკური მიზნით

აღებული წყლის დასაგროვებლად გათვალისწინებული რეზერვუარის/ავზის შესახებ;

- სკრინინგის განცხადებაში აღნიშნულია, რომ „ტერიტორიის სანიაღვრე წყლებისაგან დაცვის მიზნით მოწყობილია წყალამრიდები, ხოლო საწარმოო მოედანზე ატმოსფერული ნალექების წყლები ჩაიჟონება გრუნტში“. შესაბამისად, დოკუმენტში დაზუსტებას საჭიროებს სანიაღვრე წყლების შეწონილი ნაწილაკებით დაბინძურებისა და მისი შემდგომი მართვის საკითხი;
- დოკუმენტში არ არის წარმოდგენილი ინფორმაცია საწარმოს ექსპლუატაციის პროცესში წარმოქმნილი ნარჩენების სახეობებისა და მათი შემდგომი მართვის შესახებ.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, სააგენტო კანონმდებლობის შესაბამისად სკრინინგის გადაწყვეტილების გაცემის მიზნით ადმინისტრაციულ წარმოებას დაიწყებს მითითებული შენიშვნების გათვალისწინებით შესწორებული სკრინინგის განცხადების წარმოდგენის შემდეგ.

თეიმურაზ მთივლიშვილი

სააგენტოს უფროსის დროებით ფუნქციების შემსრულებელი

სსიპ გარემოს ეროვნული სააგენტო